სპორტის გაკვეთილის კონკურსი

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად გეგმავს საჯარო სკოლების VII კლასების სპორტის გაკვეთილის კონკურსის ჩატარებას.

კონკურსი მიზნად ისახავს სპორტის პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებას, სპორტის გაკვეთილისა და სასკოლო სპორტის პოპულარიზაციას.

აღნიშნული კონკურსი ხელს შეუწყობს სპორტის პედაგოგების პროფესიულ განვითარებას. წარმოდგენილ საკონკურსო მასალას შეაფასებს ჟიური.

ჟიურის შემადგენლობა:

- საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი;
- საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტი;
- საქართველოს ოლიმპიური კლუბი;
- ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია.

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილე:

უნდა იყოს საჯარო სკოლის VII კლასის სპორტის მოქმედი პედაგოგი.

კონკურსისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

- VII კლასის სპორტის გაკვეთილის გეგმა;
- გაკვეთილის ამსახველი ვიდეომასალა (10-15 წუთი);

კონკურსის ეტაპები და ვადები:

1	მონაწილეობის შესახებ განაცხადის გაგზავნა მისამართზე sportkonkursi.sssef@gmail.com	14 მაისის ჩათვლით
2	VII კლასის სპორტის გაკვეთილის გეგმის და ვიდეომასალის გაგზავნა მისამართზე sportkonkursi.sssef@gmail.com	22 მაისის ჩათვლით
3	ჟიურის მიერ საკონკურსო მასალის შეფასება	23-31 მაისი

4	გამოვლენილი მასალების მიხედვით შერჩეულ გაკვეთილებზე ჟიურის დასწრება	1-5 ივნისი
5	შერჩეული გაკვეთილების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში პრეზენტაცია და დაჯილდოება.	8 ივნისი

შეფასების კრიტერიუმები:

- მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი საგაკვეთილო პროცესში;
- წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმის პუნქტებთან შესაბამისობა;
- დაგეგმილი აქტივობებით დასახული სასწავლო მიზნების მიღწევა;
- სხვადასხვა პედაგოგიური მიდგომისა და სტრატეგიის გამოყენების ხარისხი;
- ფიზიკური აქტივობის მრავალფეროვნება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

577339221 - გია ბეგიაშვილი, სსსეფ პრეზიდენტი;

577338622 - კახა ნიკოლაძე, სსსეფ გამგეობის წევრი;

577555322 - ქეთევან ქობალია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფიზიკური განათლების კონსულტანტი.

ელ. ფოსტა: sportkonkursi.sssef@gmail.com